დამტკიცებულია
ა(ა)იპ „ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია“-ს
სადამფუძნებლო კრების ოქმით №1;
თარიღი: 27 თებერვალი, 2026 წელი

წ ე ს დ ე ბ ა

არასამეწარმეო (არაკომერციული)

იურიდიული პირი

„ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია“

თბილისი

2026

1. ზოგადი დებულებები

1.1 „ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია“ (ინგლისურად: „Tskhum-Abkhazian Academy of Sciences“) (შემდგომში: აკადემია) არის წევრობაზე დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, საქართველოს მეცნიერთა ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი გაერთიანება, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმებისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების და წინამდებარე წესდების შესაბამისად.

1.2 წინამდებარე წესდება წარმოადგენს აკადემიის დამფუძნებელთა შორის დადებული სადამფუძნებლო შეთანხმების ნაწილს, რომელიც გამოხატავს მათ ურთიერთთანხვედრ ნებას და სავალდებულო ძალის მქონეა დამფუძნებლებისა და წევრებისთვის.

1.3 აკადემია წარმოშობილად ითვლება და იურიდიული პირის სტატუსს იძენს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

1.4 აკადემია თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. აკადემიის პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი თავისი ქონებით.

1.5 აკადემიის ვალდებულებებისათვის მისი დამფუძნებელი, წევრი, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (პირები) პასუხს არ აგებს. თავის მხრივ აკადემია პასუხს არ აგებს თავისი დამფუძნებლების, წევრების, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) ვალდებულებებისთვის.

1.6 აკადემიის მიზანია არასამეწარმეო (არაკომერციული) საქმიანობა, წინამდებარე წესდების შესაბამისად. აკადემია უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს მისი მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება აკადემიის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს შორის დაუშვებელია. აკადემია უფლებამოსილია მისი საქმიანობის განსახორციელებლად შეიძინოს/მიიღოს მატერიალური და არამატერიალური ქონება, შემოწირულობები.

1.7 აკადემიას უფლება აქვს განახორციელოს კანონმდებლობით მასზე მინიჭებული უფლებები და მოვალეობები, დადოს ხელშეკრულებები (გარიგებები), საკუთარი სახელით შეიძინოს ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები, იტვირთოს ვალდებულებები და გამოვიდეს მოპასუხედ ან მოსარჩელედ სასამართლოში.

1.8 აკადემიას თავისი მიზნების მისაღწევად უფლება აქვს, განახორციელოს კანონით აუკრძალავი/შეუზღუდავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული.

1.9 აკადემიას შეუძლია გაერთიანდეს საერთაშორისო არასამთავრობო საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, ჰქონდეს პირდაპირი საერთაშორისო კონტაქტები, დადოს შესაბამისი შეთანხმებები და მონაწილეობდეს სხვადასხვა ღონისძიებებში, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

1.10 აკადემია არის თვითმმართველი სამეცნიერო გაერთიანება, არსებული საქართველოს საპატრიარქოსთან, რომელიც დამოუკიდებლად ამტკიცებს თავის წესდებას, განსაზღვრავს თავის სტრუქტურას, წყვეტს სამეცნიერო-ორგანიზაციულ და ეკონომიკურ საკითხებს.

1.11 აკადემიას აქვს ქონება, დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიშები საქართველოსა და სხვა ქვეყნების საბანკო დაწესებულებებში, აგრეთვე აკადემიის სხვა რეკვიზიტები: ბეჭედი, თეგი, ემბლემა ან/და ტიტულოვანი ქაღალდი. აკადემიას შეიძლება გააჩნდეს საკუთარი გერბი, რომლის ფორმასაც და შინაარსაც ამტკიცებს აკადემიის აკადემიური საბჭო.

1.12 აკადემიის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება აკადემიის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

2. აკადემიის მიზნები და ამოცანები

2.1 აკადემიის მთავარი მიზანია:

რწმენისა და მეცნიერული ცოდნის ერთობაზე დაფუძნებული ახალი პერსპექტიული სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებების განსაზღვრა და კვლევა, სხვადასხვა სამეცნიერო დარგის განვითარება, მეცნიერულად დასაბუთებული წინადადებების, რეკომენდაციებისა და პერსპექტიული პროექტების მომზადება და მათი პრაქტიკაში დანერგვა. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის იძულებით გადაადგილებულ მეცნიერთა დახმარება, მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა და სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ისტორიის, კულტურისა და ეკლესიის აქტუალური პრობლემების კვლევა თანამედროვე მეთოდოლოგიის საფუძველზე და მიღებული შედეგების საზოგადოებისათვის გაცნობა.

2.2 დასახულ ამოცანათა განსახორციელებლად აკადემია ატარებს შემდეგ ღონისძიებებს:

ა) ამყარებს კავშირს საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლების სხვადასხვა სტრუქტურებთან, საქართველოს საპატრიარქოსთან, მათ შორის ბიჭვინთა, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიასთან, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან,

საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიასთან და სხვა სამეცნიერო ცენტრებთან, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

ბ) აწყობს როგორც რესპუბლიკურ, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო სესიებს, კონფერენციებს, კოლოკვიუმებს, სიმპოზიუმებს, ატარებს საჯარო ლექციებს, აწყობს კულტურულ-საგანმანათლებლო საღამოებს, დისპუტებს და სხვა ღონისძიებებს.

გ) გამოსცემს ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომებს, თემატურ კრებულებს, თანამშრომელთა მონოგრაფიებს, ზრუნავს საარქივო დოკუმენტების პუბლიკაციაზე.

დ) ზრუნავს ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდების მეცნიერული დონის ამაღლებაზე.

ე) წარადგენს თანამშრომელთა სამეცნიერო შრომებს საქართველოსა და აფხაზეთის ა/რ პრემიების მოსაპოვებლად.

3. აკადემიის წევრობა და თანამშრომელთა უფლება-მოვალეობანი

3.1 აკადემიის წევრად პირს ირჩევს აკადემიის აკადემიური საბჭო (შემდგომში - აკადემიური საბჭო). აკადემიის წევრი შეიძლება არჩეულ იქნეს შემდეგი სტატუსით: აკადემიის ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი), წევრ-კორესპონდენტი ან საპატიო წევრი (საპატიო აკადემიკოსი).

3.2 აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად), წევრ-კორესპონდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს მეცნიერებათა დოქტორი, დოქტორი ან აკადემიური დოქტორი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ამა თუ იმ სამეცნიერო მიმართულების განვითარებაში.

3.3 აკადემიის საპატიო წევრად (საპატიო აკადემიკოსად) შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს ან სხვა ქვეყნის მეცნიერი, საეკლესიო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწე.

3.4 აკადემიის წევრი აირჩევა უვადოდ, წინამდებარე წესდების შესაბამისად მისი უფლებამოსილების შეწყვეტამდე.

3.5 აკადემიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) ხანგრძლივი დროის განმავლობაში აკადემიის საქმიანობაში მონაწილეობის მიუღებლობა;

გ) აკადემიის მიერ მოთხოვნილი იმ დოკუმენტაციის წარმოუდგენლობა, რომელიც ადასტურებს წესდების 3.2 და 3.3 პუნქტით გათვალისწინებულ გარემოებებს;

დ) აკადემიის წესდების ან/და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის დარღვევა;

ე) აკადემიის წევრის გარდაცვალება.

3.6 წესდების 3.5 პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში აკადემიური საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება აკადემიიდან წევრის გარიცხვის თაობაზე, აკადემიის წევრის უფლებამოსილება შეწყვეტილად ითვლება აკადემიური საბჭოს მიერ მისი გარიცხვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან. აკადემიის წევრის გარიცხვის/უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. წესდების 3.5 პუნქტის „ა“ და „ე“ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში წევრის უფლებამოსილება შეწყვეტილად ითვლება შესაბამისი საფუძვლის წარმოშობის მომენტიდან.

3.7 აკადემიაში საქმიანობას ეწევიან აკადემიის თანამშრომლები, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აკადემიის პრეზიდენტი, თუ წესდებით პირდაპირ სხვა რამ არ არის განსაზღვრული. აკადემიის იმ თანამშრომლებს, რომლებიც თანამდებობრივად შედიან აკადემიურ საბჭოში, ასევე აკადემიის საპატიო პრეზიდენტს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აკადემიის საერთო კრება (შემდგომში - საერთო კრება).

3.8 აკადემიაში თანამშრომელი შესაძლებელია საქმიანობდეს შემდეგი სტატუსით:

ა) მეცნიერ-თანამშრომელი;

ბ) უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი;

გ) წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი;

დ) მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

3.9 აკადემიაში არსებობს საპატიო პრეზიდენტის თანამდებობა. აკადემიის საპატიო პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნას საქართველოს მოქალაქე, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი), რომელიც საპატიო პრეზიდენტად არჩევამდე იყო აკადემიის პრეზიდენტი და მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის აკადემიის განვითარებაში.

3.10 აკადემიის მეცნიერ-თანამშრომლად შეიძლება არჩეულ (დანიშნულ) იქნეს ბაკალავრის ხარისხის მქონე პირები.

3.11 აკადემიის უფროს მეცნიერ-თანამშრომელად არჩეულ (დანიშნულ) იქნეს მაგისტრის ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო პუბლიკაცია.

3.12 აკადემიის წამყვან და მთავარ მეცნიერ-თანამშრომლად შეიძლება არჩეულ (დანიშნულ) იქნეს მეცნიერებათა დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

3.13 აკადემიის მეცნიერ-თანამშრომელს უფლება აქვს:

ა) არჩეულ იქნეს აკადემიის სხვადასხვა თანამდებობაზე;

ბ) მონაწილეობა მიიღოს აკადემიის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში;

გ) წარმოადგინოს თავისი წინადადება, პროგრამა, პროექტი აკადემიის საქმიანობასთან დაკავშირებით და მოითხოვოს მათი განხილვა;

3.14 აკადემიის მეცნიერ-თანამშრომლის ვალდებულებაა:

ა) დაიცვას აკადემიის წესდება და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა;

ბ) გაუფრთხილდეს აკადემიის ღირსებას;

გ) შეასრულოს აკადემიაში მიღებული გადაწყვეტილებები;

3.15 აკადემიის უფროსი, წამყვანი და მთავარი მეცნიერ-თანამშრომლები ასრულებენ წლიურ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს და კვლევის ძირითად შედეგებს წარუდგენენ დასაბეჭდად აკადემიის შრომების რედკოლეგიას.

3.16 აკადემიის არც ერთ თანამდებობაზე მუშაობა არ ითვლება ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებად.

4. აკადემიის მართვა და აკადემიის სტრუქტურა

4.1 აკადემიის მართვის ორგანოებია: საერთო კრება და აკადემიური საბჭო. აკადემიის უმაღლესი მართვის ორგანოა საერთო კრება, ხოლო აკადემიური საბჭო მართავს აკადემიას საერთო კრებებს შორის პერიოდში.

4.2 აკადემიის ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელი ორგანოა: აკადემიის პრეზიდენტი, რომელიც ამავდროულად არის აკადემიური საბჭოს წევრი და მისი ხელმძღვანელი (თავმჯდომარე).

4.3 აკადემიის სტრუქტურა განისაზღვრება შემდეგი სახით: აკადემიური საბჭო, აკადემიის პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი (ვიცე-პრეზიდენტები), აკადემიის სწავლული მდივანი, აკადემიის განყოფილებები, აკადემიის სხვა პერსონალი. ასევე აკადემიასთან შეიძლება არსებობდეს სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები, სამეცნიერო ცენტრები, რომელთა საქმიანობის მიზანს, ამოცანებს და შინაარსს განსაზღვრავს აკადემიური საბჭო.

5. აკადემიის საერთო კრება

5.1 საერთო კრება (მორიგი საერთო კრება) ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც, რომელზედაც განიხილება წლიური შედეგები და დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვა შესაძლო საკითხები. სხვა შემთხვევებში, ტარდება რიგგარეშე საერთო კრება. საერთო კრებაში ხმის უფლებით მონაწილეობენ აკადემიის ნამდვილი წევრები (აკადემიკოსები), წევრ-

კორესპონდენტები, საპატიო წევრები (საპატიო აკადემიკოსები). საერთო კრებაზე თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა.

5.2 აკადემიის საერთო კრებას იწვევს აკადემიის პრეზიდენტი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი. თუ პრეზიდენტი/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი არ/ვერ უზრუნველყოფს საერთო კრების მოწვევას, საერთო კრებას იწვევს აკადემიური საბჭო.

5.3 აკადემიის საერთო კრების (როგორც მორიგი, ისე რიგგარეშე) ჩატარების შესახებ შეტყობინება უნდა განხორციელდეს წერილობით (მატერიალურად ან ელექტრონულად) და უნდა გაეგზავნოს თითოეულ წევრს კრების თარიღამდე 10 (ათი) დღით ადრე მაინც, საერთო კრების დღის წესრიგთან ერთად. მოწვევის მიღებიდან 3 დღის ვადაში საერთო კრების წევრებს შეუძლიათ სხდომის დღის წესრიგში დამატებების შეტანა.

5.4 წინამდებარე წესდების 5.3 პუნქტის მიზნებისათვის, აკადემიის საერთო კრების (როგორც მორიგი, ისე რიგგარეშე) შესახებ შეტყობინების ელექტრონულად გაგზავნა შესაძლებელია განხორციელდეს აკადემიის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე ან სხვა ელექტრონული საშუალებით (მათ შორის ელექტრონული ფოსტის გამოყენებით).

5.5 აკადემიის საერთო კრება შესაძლებელია აგრეთვე ჩატარდეს როგორც ადგილზე, ისე დისტანციურად, ელექტრონული საშუალებებით, ნებისმიერ პლატფორმაზე (მათ შორის ელექტრონული ფოსტის გამოყენებით). აკადემიის საერთო კრების ჩატარების ფორმატს, აკადემიის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, საკუთარი შეხედულებით განსაზღვრავს საერთო კრების მომწვევი პირი/ორგანო.

5.6 თუ წევრთა საერთო კრებას ყველა წევრი ესწრება და ისინი თანახმა არიან კრების ჩატარებასა და გადაწყვეტილების მიღებაზე, კრების ჩატარება შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, თუ კრების მოწვევის კანონით ან/და ამ წესდებით დადგენილი წესები არ იქნა დაცული. წევრის თანხმობად მიიჩნევა, თუ იგი არ მოითხოვს საერთო კრების სხვა დროს ჩატარებას მისი მოწვევის პროცედურის დარღვევის გამო.

5.7 წევრთა საერთო კრების სათანადოდ მოწვევისა და ჩატარებისთვის პასუხისმგებელია ამ კრების მომწვევი პირი/ორგანო. წევრთა საერთო კრების მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა წევრების, აკადემიური საბჭოსა და ხელმძღვანელი ორგანოსათვის. წევრთა საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს იმ საკითხზე, რომელიც წესდებით საერთო კრების უფლებამოსილებას განეკუთვნება.

5.8 წევრთა საერთო კრება ირჩევს საერთო კრების თავმჯდომარეს კრებაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. წევრთა საერთო კრების მიმდინარეობას ხელმძღვანელობს, ოქმს ადგენს და ხელს აწერს კრების თავმჯდომარე.

5.9 საერთო კრების ოქმში უნდა აღინიშნოს:

ა) აკადემიის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი;

ბ) საერთო კრების ჩატარების ადგილი და თარიღი;

გ) მითითება საერთო კრების მოწვევის პროცედურის დაცვასა და ამ კრების გადაწყვეტილებაუნარიანობაზე;

დ) საერთო კრების თავმჯდომარის საიდენტიფიკაციო მონაცემები;

ე) საერთო კრების დღის წესრიგი, საერთო კრების გადაწყვეტილება, კენჭისყრის შედეგების მითითებით.

5.10 საერთო კრების კომპეტენციას განეკუთვნება შემდეგი საკითხები:

ა) წესდების ან/და მასში განსახორციელებელ ცვლილებების დამტკიცება;

ბ) აკადემიის საქმიანობის ძირითად მიმართულებების განსაზღვრა;

გ) აკადემიის პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტის (ვიცე-პრეზიდენტების), აკადემიის სწავლული მდივნის, აკადემიური საბჭოს წევრების არჩევა, სახელობითი კენჭისყრით;

დ) აკადემიის წევრთა მოხსენებების მოსმენა, სამეცნიერო და სამეცნიერო-ორგანიზაციული ხასიათის საკითხების განხილვა;

ე) გადაწყვეტილების მიღება აკადემიის სამართლებრივი ფორმის შეცვლის/რეაკადემიის/ლიკვიდაციის შესახებ;

ვ) ლიკვიდატორის განსაზღვრა, დანიშვნა ან/და გათავისუფლება;

ზ) იმ სუბიექტის განსაზღვრა, რომელსაც აკადემიის ლიკვიდაციის შემთხვევაში შეიძლება გადაეცეს აკადემიის ქონება.

წევრთა საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თუ წესდებით სხვა რამ არაა გათვალისწინებული, საერთო კრებაზე გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ განსახილველ საკითხს მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი.

5.11 თუ აკადემიის საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანი არ არის, კრების მომწვევს შეუძლია იმავე წესითა და იმავე დღის წესრიგით განმეორებით მოიწვიოს კრება. განმეორებით მოწვეული კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, მასზე დამსწრე წევრთა რაოდენობის მიუხედავად.

6. აკადემიური საბჭო

6.1 აკადემიური საბჭო შედგება არაუმეტეს 15 წევრისაგან. აკადემიურ საბჭოში თანამდებობრივად შედიან აკადემიის პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი (ვიცე-პრეზიდენტები), აკადემიის სწავლული მდივანი, აკადემიის განყოფილების ხელმძღვანელები. აკადემიურ საბჭოს ხელმძღვანელობს და მის სხდომებს უძღვება აკადემიის პრეზიდენტი/მისი მოვალეობის შემსრულებელი. აკადემიური საბჭო ანგარიშვალდებულია საერთო კრების წინაშე.

6.2 აკადემიური საბჭოს წევრებს ირჩევს საერთო კრება. აკადემიური საბჭოს წევრი არჩეულად მიიჩნევა, თუ მის კანდიდატურას მხარს დაუჭერს კრებაზე დამსწრე წევრთა 3/5. აკადემიის საბჭოს ყველა წევრი აირჩევა 3 (სამი) წლის ვადით. აკადემიური საბჭოს იმ წევრებს, რომლებიც აკადემიურ საბჭოში არჩეულ იქნენ ამ წესდების ძალაში შესვლამდე, 5 წლის ვადით, უფლებამოსილება შეუნარჩუნდებათ 5 წლიანი ვადის ამოწურვამდე.

6.3 აკადემიური საბჭოს სხდომა ტარდება 3 (სამი) თვეში ერთხელ მაინც. აკადემიური საბჭოს ჩატარების შესახებ შეტყობინება უნდა განხორციელდეს წერილობით (მატერიალურად ან ელექტრონულად) და უნდა გაეგზავნოს თითოეულ წევრს კრების თარიღამდე 8 (რვა) დღით ადრე მაინც, საერთო კრების დღის წესრიგთან ერთად. მოწვევის მიღებიდან 3 დღის ვადაში საერთო კრების წევრებს შეუძლიათ სხდომის დღის წესრიგში დამატებების შეტანა.

6.4 აკადემიური საბჭოს სხდომის მოწვევის უფლება აქვთ აკადემიური საბჭოს წევრთა 1/3-ზე მეტს, აკადემიის საერთო კრებასა და აკადემიის პრეზიდენტს/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს.

6.5 აკადემიური საბჭოს სხდომა შესაძლებელია ჩატარდეს როგორც ადგილზე, ისე დისტანციურად, ელექტრონული საშუალებებით, ნებისმიერ პლატფორმაზე (მათ შორის ელექტრონული ფოსტის გამოყენებით). აკადემიის საბჭოს სხდომის ჩატარების ფორმატს, აკადემიის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, საკუთარი შეხედულებით განსაზღვრავს აკადემიური საბჭოს სხდომის მომწვევი პირი/ორგანო.

6.6 სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება აკადემიური საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომაზე გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ კონკრეტულ საკითხს მხარს დაუჭერს აკადემიური საბჭოს დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი.

6.7 აკადემიური სხდომის მიმდინარეობას ხელმძღვანელობს, ოქმს ადგენს და ხელს აწერს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - სხდომის თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევს ამავე კრებაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი.

6.8 აკადემიური საბჭო:

ა) ამყარებს სამეცნიერო კონტაქტებს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსთან; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან. სოფლის მეურნეობის აკადემიასთან, დარგობრივი მეცნიერებათა აკადემიასთან, სასწავლო უმაღლეს სასწავლებლებთან, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ა.შ;

ბ) იწვევს როგორც რესპუბლიკურ, ასევე საერთაშორისო კონფერენციებს, სიმპოზიუმებს, კონგრესებს და ა.შ;

გ) ამტკიცებს აკადემიის პერიოდულ გამოცემებს, მათ სარედაქციო კოლეგიებსა და საბჭოების შემადგენლობასა და დებულებებს, აწყობს ბეჭდური პროდუქციის პრეზენტაციას და სხვა;

დ) იღებს გადაწყვეტილებას აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების, ცენტრების და სხვა მსგავსი ორგანოების დაფუძნების შესახებ. განსაზღვრავს მათი საქმიანობის მიზნებს, ამოცანებსა და შინაარსს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ამტკიცებს მათ დებულებებს;

ე) იხილავს და ამტკიცებს აკადემიის განყოფილებების, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისა და ცენტრების ანგარიშებს;

ვ) გაწეული განსაკუთრებული ღვაწლისათვის აკადემიის წევრს წარადგენს სახელმწიფო ჯილდოებზე;

ზ) ამზადებს ცვლილებებს და დამატებებს აკადემიის წესდებაში და დასამტკიცებლად წარუდგენს საერთო კრებას;

თ) იხილავს განყოფილებათა გამგეების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, ცენტრების და ა. შ. ანგარიშებს;

ი) ისმენს პრეზიდენტის ინფორმაციას აკადემიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

7. აკადემიის პრეზიდენტი

7.1 აკადემიის პრეზიდენტად (შემდგომში: პრეზიდენტი) აირჩევა აკადემიის ნამდვილი წევრი, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის მეცნიერების განვითარებაში.

7.2 პრეზიდენტს 3 წლის ვადით ირჩევს აკადემიის საერთო კრება, სახელობითი კენჭისყრით. პრეზიდენტი არჩეულად მიიჩნევა, თუკი მის კანდიდატურას მხარს დაუჭერს საერთო კრებაზე დამსწრე წევრთა 3/5. პრეზიდენტის კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვთ აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებსა და სამეცნიერო ცენტრებს, აკადემიის ნამდვილ წევრს (აკადემიკოსებს).

7.3 პრეზიდენტი ხელმძღვანელობს აკადემიას და შეუზღუდავად წარმოადგენს აკადემიას სხვა პირებთან ურთიერთობებისას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ, დებს ხელშეკრულებებს, გარიგებებს, აწარმოებს მოლაპარაკებებს, გასცემს მინდობილობებს, ხსნის და ხურავს ანგარიშებს საბანკო დაწესებულებებში, განკარგავს აკადემიის ქონებასა და სახსრებს.

7.4 პრეზიდენტი არის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე და ხელმძღვანელობს აკადემიური საბჭოს საქმიანობას.

7.5 პრეზიდენტი იწვევს და თავმჯდომარეობს აკადემიის საერთო კრებას.

7.6 გარდა ზემოაღნიშნულის, პრეზიდენტი:

ა) თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს აკადემიის წესდებით, საერთო კრებისა და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებებით, ზედამხედველობს აკადემიის წესდების დაცვას.

ბ) ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აკადემიის თანამშრომლებს, მათ შორის ამტკიცებს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, სამეცნიერო ცენტრების სამეცნიერო საბჭოების მიერ არჩეულ ხელმძღვანელებს (დირექტორებს);

გ) ყოველწლიურად ადგენს შესაბამის ანგარიშს აკადემიის ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებით და წარუდგენს მას საერთო კრებას;

დ) უზრუნველყოფს აკადემიის ბუღალტრული წიგნების შესაბამისობას საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან.

7.7 პრეზიდენტის არყოფნის შემთხვევაში მისი ფუნქციების შესრულება ეკისრება ვიცე-პრეზიდენტს პრეზიდენტის ბრძანებით, ხოლო ასეთის არ არსებობის შემთხვევაში აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად.

8. ვიცე-პრეზიდენტი

8.1 აკადემიას შესაძლებელია ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე ვიცე-პრეზიდენტი. ვიცე-პრეზიდენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელმძღვანელობს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.

8.2 უწევს ორგანიზებას სამეცნიერო კონფერენციებს, სიმპოზიუმებს, კონგრესებს, სამეცნიერო-საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა ღონისძიებებს.

8.3 ორგანიზებას უწევს აკადემიის თანამშრომლობას სხვადასხვა სამეცნიერო და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან.

8.4 წარუდგენს პრეზიდენტს ყოველწლიურ ანგარიშს მისდამი დაქვემდებარებული განყოფილებების (ინსტიტუტების) მუშაობის შესახებ.

8.5 არის აკადემიის პერიოდული ორგანოების სარედაქციო კოლეგიის წევრი და მთავარი რედაქტორის მოადგილე.

8.6 ხელმძღვანელობს აკადემიის ვებ-გვერდისათვის აკადემიის საქმიანობის ამსახველი მასალების მომზადებასა და განთავსებას.

8.7 ასრულებს პრეზიდენტის მოვალეობას მისი არყოფნის შემთხვევაში, პრეზიდენტის დავალებით, ხოლო ასეთი დავალების არ არსებობის შემთხვევაში აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

9. აკადემიის სწავლული მდივნის კომპეტენცია

9.1 აწარმოებს აკადემიური საბჭოს დოკუმენტაცია.

9.2 პრეზიდენტთან, ვიცე-პრეზიდენტთან (ვიცე-პრეზიდენტებთან) ერთად კოორდინირებას უწევს აკადემიის ზოგად მეცნიერულ მუშაობას, კონფერენციებს, სიმპოზიუმების, სემინარების და ა. შ. მომზადებას.

9.3 მონაწილეობს აკადემიის წლიური საანგარიშო მოხსენების მომზადებაში.

9.4 კოორდინირებას უწევს აკადემიასთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, სამეცნიერო ცენტრების სწავლული მდივნების მუშაობას.

9.5 ხელმძღვანელობს აკადემიის ურთიერთობას საზოგადოებასთან და მართავს აკადემიის ვებ-გვერდს.

10.აკადემიის სამეცნიერო განყოფილებები

10.1 აკადემიაში ფუნქციონირებს შემდეგი განყოფილებები:

10.1.1 ფუნდამენტური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა;

10.1.2 ენისა და ლიტერატურის;

10.1.3 საზოგადოებრივ მეცნიერებათა;

11. აკადემიის განყოფილებების კომპეტენცია

11.1 განყოფილება თავისი შემადგენლობიდან ირჩევს და საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს ხელმძღვანელს.

11.2 წელიწადში ერთხელ შემუშავებული გეგმით ატარებს სხდომებს.

11.3 იხილავს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის სამეცნიერო ანგარიშებს.

11.4 აწყობს საჯარო სხდომებს მეცნიერების აქტუალურ საკითხებზე.

11.5 აკადემიურ საბჭოს წარუდგენს განყოფილების წევრთა პროექტებს გრანტებზე წარსადგენად.

11.6 განსაკუთრებული მიღწევებისათვის განყოფილების წევრს დასაჯილდოებლად წარადგენს აკადემიურ საბჭოში.

12. აკადემიის ფინანსები

12.1 აკადემიის ფინანსებს შეადგენს სახელმწიფო სტრუქტურებიდან მიღებული სუბსიდიები, შემოწირულობები, დახმარებები, გრანტები, შეკვეთები და სხვ.

12.2 აკადემიას შეიძლება საკუთრებაში ჰქონდეს შენობა-ნაგებობა, სატრანსპორტო საშუალებები, კულტურულ-საგანმანათლებო და გამაჯანსაღებელი დანიშნულების ქონება, აქციები, სხვა უძრავი და მოძრავი ქონება ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რაც მას ესაჭიროება წესდებით განსაზღვრული ამოცანების განსახორციელებლად.

13. აკადემიის სამართლებრივი ფორმის შეცვლა, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია

13.1 აკადემიის სამართლებრივი ფორმის შეცვლა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამართლებრივი ფორმის შეცვლით იგი საჯარო სამართლის იურიდიულ პირად გარდაიქმნება.

13.2 აკადემიის გაყოფა (დაყოფა, გამოყოფა), შერწყმა (გაერთიანება, მიერთება) და ლიკვიდაცია ხორციელდება მეწარმე სუბიექტის ლიკვიდაციისათვის/ რეაკადემიისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.3 აკადემიის რეაკადემიისა და ლიკვიდაციის, ასევე ლიკვიდატორის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს წევრთა საერთო კრება.

13.4 ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს კრედიტორთა მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.

13.5 გადაწყვეტილება აკადემიის ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

13.6 ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავს აკადემიის წევრთა საერთო კრება. ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:

ა) ხელს შეუწყობს დასახული მიზნების განხორციელებას;
ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;
გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

13.7 აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება აკადემიის დამფუძნებლებს, წევრებს, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს შორის.

13.8 თუ აკადემიის წევრთა საერთო კრებამ არ განსაზღვრა ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო აკადემიის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორიც აკადემიას. თუ ასეთი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი არ არსებობს ან შეუძლებელია მისი გამოვლენა, შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ.

13.9 სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე აკადემიის ლიკვიდაციას ახორციელებს (ახორციელებენ) სასამართლოს მიერ დანიშნული ლიკვიდატორი (ლიკვიდატორები). აკრძალულია აკადემიის მიმართ სალიკვიდაციო და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყების მომენტიდან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტამდე.

14. აკადემიის ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი

14.1 აკადემიის პრეზიდენტი ყოველწლიურად ადგენს შესაბამის ანგარიშს „ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის“ ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებით და წარუდგენს მას დამფუძნებელთა საერთო კრებას;

14.2 აკადემია აწარმოებს ჩანაწერებს მის მიერ შესრულებული სამუშაოს თაობაზე;

14.3 აკადემიის პრეზიდენტი უზრუნველყოფს აკადემიის ბუღალტრული წიგნების შესაბამისობას საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან.

15. დავის გადაწყვეტა

14.1 აკადემიის წევრებს შორის წარმოქმნილი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

14.2 აკადემიასა და მესამე პირს შორის წარმოქმნილი დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

16. დასკვნითი დებულებები

15.1 თუ ნებისმიერი მიზეზით ბათილად გამოცხადდება წინამდებარე წესდების ერთი ან მეტი დებულება, ეს არანაირად არ გამოიწვევს მთლიანად წესდების ბათილობას. ასეთ შემთხვევაში დანარჩენი დებულებები ძალაში რჩება ბათილი დებულებების გარეშე;

15.2 წინამდებარე წესდება ძალაში შედის მისი ხელმოწერის შემდეგ.